№ 56
ხუთშაბათი 14 მარტი, 1902 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მ. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

# ივერია

№ 56
ხუთშაბათი 14 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა...
ტფილისი.
გაზეთის ხელისმომწერლები და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად (8 მ. და 75 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—შემოქმედელის წიგნის მაღაზია და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბათუმში:**—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., კალანთაროვის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პეტრე ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისის გარდა, იყიდება **ქუთაისისა** და **ხონში** ზემოხსენებულ წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакция „Иверия". ტელეფონი № 227.

**უნივერსიტეტებისა და სხვა მაღალ სასწავლებელთა მოსწავლე სტუდენტობის დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთ** ამით ვიწვევთ და ვსთხოვთ, რაკი უკვე მოვიდა დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა, მობრძანდნენ და ბჭობა იქონიონ იმ საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მოეძებნება საჭიროდ საზოგადოების მოქმედების დასაწყებად. ბჭობა დანიშნულია საარტისტო საზოგადოების სადგომში, 17 მარტს, სადამოს 8 საათზედ. ამისათვის ვსთხოვთ მობრძანდნენ ყველა ისინიც, ვისაც თანაგრძნობის საზოგადოების აზრის და დანიშნულების და მსურველია მიიღოს მონაწილეობა მისს მოქმედებაში. (3—2)

კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საზოგადოების სახლში იყიდება

**აბრეშუმის ჭიის თესლი**

იტალიისა, საფრანგეთისა და ბაღდადის ჯიშისა. (3—6.—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღლაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-მდე და სადამოთ 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევისთვის. ორბელიანის ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
**ვახტანგ ღამბაშიძე**

სწამლობს შინაგანს და ბავშვთა სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და სადამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. (წ.)

**იაკობ ზაქარიას ძე ბძელიშვილი**

ექიმი

სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და სადამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85. (წ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს კრავტის (ერთი ფუთი)
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინსკისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

**ვ. ი. ჯიჯიხია**—ქალთა სნეულებანი, 8—10 საათამდე.
**მიხეილ ბედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი სნეულებანი, ელექტრონით, 9—10 ს. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
**ვ. ვ. ჭილიკაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
**ვ. ვ. მაღლაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
**ე. ი. მღებრიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
**ი. ა. ახალშენიშვილი**—ბაილის სნეულებანი 10 საათამდე.
**ვ. ლ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
**ა. ვ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების, 11—12 ს.
**დ. ა. ბერიძენიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
**სტ. ა. ვოინოვი**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.
**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

**ნ. ნ. როსტომბეკოვი,** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
**გ. ა. თარხანოვი.** 7$^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница д-ра Н а в а с а р і а н ц а. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.)

## ახალი ამბავი

—

✦ გუშინ-წინ, 12 მარტს, ქალაქის გამგეობის სხდომაზე გამგეობის წევრმა ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა გამგეობას, რომ ქალაქის გამგეობას ოთხი „ბუტკა" აქვს გაკეთებული და მოწყობილი იჯარით გასაცემად, მაგრამ ისინი ამ ჟამად უქმად არიან. გამგეობამ დაადგინა შეიმუშავოს პირობები და ტორგები მოახდინოს „ბუტკების" იჯარით გასაცემად.

✦ დღეს, 14 მარტს, სადამოს რვა საათზე დანიშნულია ქალაქის გამგეობის კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილვენ ხორცის დუქნის დაარსების საქმეს.

✦ სულთან კრიმ-გირეიმ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოში შეიტანა წინადადება, რომ საბჭომ მთავარ-მართებლისგან სოფლის მეურნეთა საგუბერნიო და სამაზრო კრებების მოწვევის ნება აიღოს, რათა შეერთებულმა კრებამ გამოიკვლიოს სამეურნეო წარმოების საჭიროება და გამოსძებნოს ღონისძიება სამეურნეო წარმოებისა და მასთან შეკავშირებულ დარგების გასაუმჯობესებლად.

✦ კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაში იყიდება გრენა (აბრეშუმის თესლი) იტალიური, ფრანგული და ბაღდადურის ჯიშისა.

✦ დღეს, 14 მარტს, სადამოს რვა საათზე დანიშნულია კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო კომისიის წევრებისა.

✦ სამშაბათს, 12 მარტს, სულთან კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით შესდგა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ტეხნიკოსები, მაგრამ მათგან მხოლოდ სამი მოვიდა. ამ კრებაზე ინჟენერმა მაევსკიმ წაიკითხა მოხსენება მუღანის სარწყავ არხების გაყვანის შესახებ და მთელი კრება მისს გარჩევას მოუნდა. მაევსკის აზრით, არხების გაყვანა დაჯდება სულ ბევრი 25,000 მანეთად და მორწყავს 10,000 დესეტინა მიწაზე მეტს. ინჟენერი მატფეევი და სხვები-კი ამტკიცებდნენ, რომ არხების გაყვანას ორმოცჯერ 25,000 მანეთი არ ეყოფა და მორწყავს მხოლოდ 1,000 დესეტინა მიწასაო. კამათი გაგრძელდა 12$^1/_2$ საათამდე. წევრებმა ითხოვეს, რომ ამორჩეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია, გამოცდილის აგრონომებისა და ტეხნიკოსებისა და მას მიენდოს მოხსენების გარჩევაო.

კრება ამითი გათავდა. შემდეგს კრებაზე მოწვეულ იქმნებიან ყველა ტეხნიკოსები.

✦ მასწავლებელ ქალთა საზოგადოება 25 მარტს მართავს საქველ-მოქმედო ბაზარს ,,საპრანიის დარბაზში''. შემოსავალი გადაიდება უძლურ და ავადმყოფ მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის ასაშენებელ ფონდის მისამატებლად. იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ სიმპატიურ აზრს და არ დაიშურებს თავისს წვლილს. შემოწირულება შეიძლება გაიგზავნოს მასწავლებელ ქალთა საზოგადოების კანტორაში (გრაფისა და სამების ქუჩა) და საზოგადოების თავმჯდომარე ელ. მიხ. ლოპუხინასთან (კონსულის ქუჩა № 12.).

✦ მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ალექსის განკარგულებით მალე შეუდგებიან სიონის საკრებულო ტაძრის შეკეთებას.

✦ ქუთაისის გუბერნატორს დ. ონში და ს. სომიწოში მიწის ძვრის შედეგის გამოსარკვევად რაჭაში გაუგზავნია ქუთაისის მაზრის უფროსი თ-დი ჯამსუყ დადიშქელიანი.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების თხოვნისამებრ ქალაქის საბჭოს კომისიამ გადასწყვიტა ბროსსეს სახელი დაერქვას ,,ვოდოვოზნი'' ქუჩას პოლიციის მესამე უბანში.

✦ დღეს, 14 მარტს, სადამოს ექვს საათზე სამეურნეო ბანკის სადგომში (დ. სარაჯიშვილის სახლი) სათათბიროდ შეიკრიბება ქალთა ჯგუფი, რომელსაც განუზრახავს შეადგინოს ამხანაგობა შინა-მრეწველობის ზოგიერთა დარგის შესწავლისა და ხალხში გავრცელებისა. დღევანდელს კრებაზე განიხილვენ ამ წლის მოქმედების პროგრამას.

✦ ქალაქის გამგეობამ აპრილის ათამდე გადაიტანა ვადა განცხადებათა შეტანისათვის იმ შეცდომების შესახებ, რომელთაც ამომრჩეველთა სიებში შენიშვნენ.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1) ,,სალიტერატურო ქართული'', სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა, 239 გვერდი. ფასი ერთი მან. და 2) ,,ბრძნული სიტყვები,'' თქმული უწინდელ ფილოსოფოსთაგან, ძველ ნაწერებიდგან ამოკრებილი დ. ფიფინოვისაგან, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ფასი ორი შაური.

✦ სადგ. სუფსიდამ გვატყობინებენ, რომ იქ 10 მარტს ღამით ბოროტ-განმზრახველებმა გაბურღეს ნავთის მთავარი მილი მდინარე სუფსას ხიდზედ გაყვანილი.

✦ ბაქოდგან გვწერენ, რომ იქ 11 მარტს, დილის 5 საათზედ, მე 803 ვერსზედ რკინის გზის ლიანდაგისა უეცრივ გასკდა ორთქლ-მავალის ქვაბი. მემაშინეს თანაშემწე სასიკვდილოდ დაიჭრა, მხოლოდ თვით მემაშინე სუბუქად.

✦ რკინის გზის უფროსმა ივანოვსკიმ გამოსცა შემდეგი ბრძანება. ბებიები უნდა იმყოფებოდნენ შემდეგ სადგურებზედ: სამტრედიაში, მიხაილოვში, ტფილისში, ელისავეტპოლში, აჯიქაბულში, ბაქოში და ყარაქლისში.

✦ ქარელის სადგურიდამ გვატყობინებენ, რომ იქ 11 მარტს ნაშუადღევის 5 საათზედ გადმოვარდა მესამე კლასის ვაგონიდამ სოფელ ვარიანის მცხოვრები მიხეილ მეგრელიშვილი, რომელიც სუბუქად დაშავებულა.

—

### იმერეთის ამბები:

—

✦ 10 მარტი ოზურგელთათვის მთლად სადღესასწაულო დღე იყო. ჩვენმა სამოქალაქო სკოლის უფროსმაც გაიხსენა გოგოლი და დილის 12 საათზე ოზურგეთის ,,წარჩინებულ'' პირთა თანადასწრებით იდღესასწაულეს გოგოლის გარდაცვალების 50 წლის თავი.
— სადამოს გაიმართა ვასილ აბაშიძის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემლად

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

### ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ციფირები და ოინები.

,,ტყუილს გრძელი კუდი დასთრევს
და მოკლე ფეხები აბია''.
ხალხური ანდაზა.

ბ-ნ ა. ჯორჯაძეს, როგორც ეტყობა, ციფირებმა ძილი გაუფთხო, ჩემი წერილები მოსვენებას არ აძლევს. სხვა რით აიხსნება მისი კიდევ აჩქარებული წერილი ,,უკულმართობის გამართლება'', დასტამბული ,,ცნობის ფურცლის'' №№ 1735 და 1737-ში. ყოველი სტრიქონი ამ საკვირველის წერილისა სიმართლეს არის მოკლებული. სხვა იქნება ამისთანა ქცევას უფრო შესაფერს სახელს უწოდებდა, მაგრამ ბ-ნმა ა. ჯ—ძემ კიდევ და კიდევ რომ გამკიცხოს და დამცინოს, მაინც ,,ზრდილობიანად'' მოვეპყრობი და ამასთანავე დიდ ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, რომ ,,ჩვენს ლიტერატურაში ამ არა ჩვეულებრივ ზრდილობიან'' საუბრით ვაწყენინებ; თურმე, როგორც ეტყობა, მის წერილებს უფრო შეეფერებოდა არა ზრდილობიანი მოქცევა და მეკი ეს აქამდე ვერ შევიგნე.

მკითხველებმა განსაჯოს, ვინ ,,ჩაიდინა უმართებულობა'' მე, როგორც თავის წერილში ბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე, თუ თითონვე, ახალ მცნების მოძღვარმა?

დიდ უზრდელობად ჩაითვლება ჩვენში, თუ მოპირდაპირენი ბაასის დროს ერთმანეთს სიტყვას ართმევენ და აზრის დამთავრებას არ აცლიან. ყველასათვის შეუფერებელია პასუხის მიგება მაშინ, როდესაც კაცს ჯერ თავისი აზრი სრულად არ გამოუთქვამს.

ბ-ნი ა. ჯ—ძე სულ სხვა ნაირად იქცევა: რის მოცდა, რის მოსმენა? განა არ შეუძლიან ჩემ მაგიერ აზრი გამოიგონოს და თავის თავს პასუხი თითონვე გასცეს? ამ რიგად ხომ ადვილია მკითხველი დაარწმუნოს, რომ ტფილისელი ავის რწმენის კაცია.

სწორედ გასაოცარია, როგორ ამართლებს ბ-ნ ა. ჯ—ძის საქციელი ჩემ წერილში გამოთქმულ აზრს, რომ ჩვენ

სამწუხაროდ გვეხალისება ერთმანეთის დამცირება, უსაფუძვლოდ, უადგილოდ, მაშინაც-კი, როდესაც ეს საწინააღმდეგოა თვით დამამცირებლის ინტერესებისათვის. აიღეთ თუნდ ჩვენის ლიტერატურის და პრესის წარმომადგენელნი, რამოდენს ძალ-ღონეს ანდომებენ ერთმანეთის ქიშპობას. ყველას მიაჩნია თავის ამაღლებად სხვის დამცირება და დაქვეითება („ივერია" № 27).

დიაღ, ბ-ნ ა. ჯ—ძის წერილის აზრი იმის მეტი არა არის-რა, რომ უნდა დაამტკიცოს რა მავნე მიმართულებისანი არიან ,,ივერიის'' თანამშრომელნი და ამასთანავე რა მამულისშვილურის გრძნობით არის თითონ გამსჭვალული! ბ-ნი არ. ჯ—ძე არა თაკილობს და არც დიდ შეცოდებად მიაჩნია ამის დასამტკიცებლად ციფირების გადასხვაფერება, ჩემის ნათქვამის და აზრის თავისებურად შეცვლა და გადამახინჯება. მეტი რა ღონეა, ესე უნდა მოიქცეს, რადგან სხვა გზით არ შეუძლიან ჩვენი დამცირება. და ეს ხომ უპირველესი საგანი გახლავთ ,,ცნობის ფურცლის'' გულწრფელის პუბლიცისტისა. განა ჩვენი საუბარი ისეთ საგანზედ არის აღძრული, რომ ჩვენ შორის ასეთ შეუფერებელ კამათს ალაგი ჰქონოდა?! ეს საგანი მეტის-მეტად მძიმე გამოსაკვლევი და ახლად-ახალია ჩვენში; შესაძლოა, რასაკვირველია, რომ რომელიმე მოკამათე სცდებოდეს, მაგრამ მავნებელ აზრით არ იყოს გამსჭვალული. შეცდომის გასწორება სწორედ საჭიროა, მაგრამ შესწორებაა საჭირო და არა გადამახინჯება აზრისა, არევ-დარევა ციფირებისა და სხვა საბუთებისა.

ჩვენმა მოკამათემ თავისს წერილებში წოდებათა შორის სიმდიდრის განაწილებაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და ამტკიცებდა, რომ „საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხ-კაცობას, ამისათვის სიტყვა „წოდება" ჯერ კიდევ არ დაძველებულაო („ცნ. ფ." № 1692). და ეს არისო „უმთავრესი მიზეზი წოდებათა შორის მოურიგებლობისა და ქიშპობისაო". ეს დედა-აზრია ბ-ნ ა. ჯ—ძის ახალ მცნებისა და ამის დასამტკიცებლად იმან მიმართა მხოლოდ სტატისტიკურ ცნობებს და ციფირებს, რომელიც გადაასხვაფერა თავისებურად. რადგან დედა-ბოძად წოდებათა შორის მოურიგებლობისა ჩვენში ქონებათა უთანასწორობა არ მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ფაქტორებს უფრო დიდი მნიშვნელობა და მეტი გავლენა აქვს ამ სამწუხარო მოვლენაზედ, ამიტომ განვიზრახე ჩემის აზრის დამტკიცება ფაქტებით, საბუთებით, ციფირებით და სხვა ცნობათა და მოსაზრებათა შემწეობით. ამის შესახებ აი, რა აზრი გამოვსთქვი:

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენის სამშობლოს ბედნიერება მკვიდრად არის შეკავშირებული სოფლის მუშაკთა ბედნიერებასთან. ჭეშმარიტია ის აზრიც, რომ უპირველესი ჩვენი საზრუნავი უნდა იყოს ნივთიერი განკარგება ჩვენის ხალხისა და, რადგანაც ჩვენი ხალხი უფრო მეტად მიწის შემოსავლით სცხოვრობს და მიწა აძლევს ძალ-ღონეს, ამიტომ გამოსაკვლევი არის შემდეგი საგნები: რა ნაირად არის განაწილებული მიწა ჩვენის ერის წოდებათა შორის? საკმარისი მამული უჭირავთ, თუ არა, მიწათ-მოქმედთ? სუფევს თუ არა განხეთქილება ჩვენის ერის წოდებათა შორის? რა არის ამის მიზეზი და რით შეიძლება ამ საუბედურო მოვლენის მოსპობა? რით აიხსნება სოფლის მუშაკთა გაღარიბება და გაღატაკება, თუ თავად-აზნაურობას, გლეხ-კაცობას და სხვა წოდების კაცთ უჭირავთ საკმარისი მამული? რა ღონისძიებით შეიძლება სოფლის ნივთიერად გაღარიბება?

ყოველ ამის პასუხი მაშინ არის შესაძლო, როდესაც სოფლელთა ცხოვრება საკმარისად გამოკვლეული იქნება და ამ ცხოვრების შესახებ უტყუარი ფაქტები ხელთ გვექნება, ის ფაქტები, რომელიც ნებას მოგვცემს ავხსნათ სოფლელთა ამ გვარ ცხოვრების მიზეზი. აქ უცხოეთიდგან გადმოხვეწილი მზა-მზარეული თეორიები, რომელიც ჩვენს ცხოვრებას არ შეეხება, ვერ გვიშველის („ივერია" № 26).

ნუ-თუ არის რამ აქ საძრახისი და გასაკიცხი?

გარდა ამისა, მე შევეხე ბ-ნ ა. ჯ—ძის უცნაურს მეთოდს, რომლითაც ის ცდილობს დაასაბუთოს ზემოდ მოყვანილი მისი დედააზრი. ჩემი „უშველებელი წერილი" („ივერია" № 37) მხოლოდ ამ მეთოდს და ბ-ნ ა. ჯ—ძის მოსაზრებას ეხებოდა, უარ-ჰყოფდა და ჩემად კი, იქ ჯერ არა გამომითქვამს-რა საბოლოვო, არა დამისაბუთებია-რა, არა დამიმტკიცებია-რა; ამიტომ დიდ ცილის წამებად მიმაჩნია ის სიტყვები, რომლითაც აგვირგვინებს თავის ვითომ-და დასაბუთებულს წერილს ბ-ნი ა. ჯ—ძე:

„საკვირველია, ყველგან, დედა-მიწის ყველა კუთხეებში, რა რიგად ჰგვანან ერთი-ერთმანეთს წარსულ წყობილების მცველნი და დაძველებულ აზრთა მოტრფიალენი! ყველა ესენი, გარეგნულის მხრივ, ისე გესაუბრებიან, თითქოს ყველა მართალია, რასაც გეუბნებიან. ციფირები, ფაქტები, კეთილშობილური წყობა, აზრის და ცხოვრების გამოცდილება—ყველა ამას ხმარობენ, ყველაფრით სარგებლობენ, რათა დაუმტკიცონ ქვეყანას, სიმართლე და ჭეშმარიტება მათკენაა..."

სტრიქონ და სტრიქონ ჩავაკაკანოთ ბ-ნ ა. ჯ—ძის უცნაური წერილი, შევუფარდოთ იმას ჩემი ნათქვამიც და დავინახავთ, რა ხრიკებს ხმარობს „ცნ. ფურცლის" პუბლიცისტი თავის გასამართლებლად. იგი ბრძანებს:

„ბ. ტფილისელი, («ივერია» № 37) რომელსაც ძალიან სწყენია, (!!??) „რეტროგრადობა" როგორ დამწამესო, თავის პროგრესსიულ მიმართულების აღსადგენად და დასაცავად, უშველებელ წე-

სადღესასწაულო წარმოდგენა, რომელსაც მეთაურობდნენ ჩვენი ოზურგელი ახალგაზდა არტისტები ბ. ბ. ვ. ურუშაძე და ალ. წუწუნავა. წარმოდგენილ იქმნა: „რევიზორიდგან" ერთი მოქმედება, „დამნაშავეს არ სჯიან" და „ორი მშიერი". წუწუნავას მიერ წაკითხულ იქმნა რეფერატი „ვ. აბაშიძის ბიოგრაფია და მისი ღვაწლი სამშობლო სცენის წინაშე"; დივერტისმენტში წაკითხულ იქმნა სცენები გურიის ცხოვრებიდგან წულაძისა და ურუშაძის მიერ. ამასთანავე წუწუნავამ და ურუშაძემ იმღერეს კუპლეტები ადგილობრივ ღლიურ ვარამის მოტივებზე. საზოგადოება დიდ-ძალი დაესწრო, და რომ დარბაზი უფრო ვრცელი ყოფილიყო, მეტიც იქნებოდა. მთელი შემოსავალი იყო 70 მანეთამდე, რომელიც ხარჯს გარედ სრულიად გაეგზავნება დრამატიულ საზოგადოებას დანიშნულებისამებრ.

◆ ქუთაისი: ქუთაისის ერთ საუკეთესო სიმდიდრეს შეადგენს საღორიის აგარაკი, (ცხრაას დესეტინამდის). მთელი ეს ადგილი თითქმის სულ დაფარულია მუხის ტყით. ასეთი დაუფასებელი სიმდიდრე მომჭირნე პატრონის ხელში დიდად შემოსავლიანი იქნებოდა, მაგრამ ეხლა-კი მისი შემოსავალი გასამხელიც არაა.

კიდევ კარგი, რომ ეგ შემოსავალი მუდმივი იყოს, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ამ პატარა შემოსავალსაც მალე გამოეთხოვება ქალაქი. საქმე ის არის, რომ საღორიის ტყეში ყოველ წლივ იჭრება ქალაქისაგან 350 საჟენი შეშა; ამას დავუმატოთ ისიც, რასაც ქურდულათ სჭრიან ახლო-მახლო სოფლელები, რაც 50 საჟნამდის აწევს; ასე რომ— ყოველ წლობით საღორიის ტყეს აკლდება შეშა თითქმის 400 საჟნამდის. ამაზედ უთუოდ შემნიშნავენ, ძველი ტყე თუ იჭრება, მის ადგილს ახალი ამოვა და რამდენისამე წლის შემდეგ კიდევ მოსაჭრელად გახდებაო. ასეთი შენიშვნა სრულიად სამართლიანი იქმნებოდა, რომ ქუთათურები ამ ნაირ ბარბაროსულ წესით არ სწმენდდნენ ტყეს: ყოველ წლობით სჭრიან ტყეში აქა-იქ 400 საჟნამდის შეშას (აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მომჭრელნი სიადვილისათვის უფრო სწორსა და ლორთქოშ მუხებს სჭრიან; დაკვარჯლულს და ძველებს-კი სტოვებენ, აგრეთვე ისაც საყურადღებოა, რომ ამ ჟამად ტყე ძლიერ გათხელებულია, ასე რომ ხეები ერთი მეორიდან 2—5 საჟენზეა დაშორებული.), მოჩეხისათანავე შერეკავენ ტყეში ძროხისა და ღორის ჯოგს და ზამთრამდის აბალახებენ. ახალ ამონაყარ ყლორტებს ძროხები სპობენ, თესლს-კი (რკოს) ღორები არ უშვებენ; ასე რომ—არც მონაჭერ ძირებზედ ამოდის ახალი ყლორტები და არც თესლიდან ახალი ნერგები. დიდი წინასწარმეტყველობა არაა საჭირო, რომ საღორიის ტყე მალე მოისპობა.

ამბობენ, საღორიის ნიადაგი მწირია და მონაჭერი ძირები მაინც არ ამოიყრისო. არ ვიტყვი, რომ საღორიის ნიადაგი ნამდვილად შავი მიწა იყოს, მაგრამ არც ისე მწირია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, მით უმეტეს მუხნარისათვის, რომელიც მწირს ნიადაგზედაც კარგათ ხეირობს. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა გამოიცადოს, თუ რამდენად მართალია ზოგიერთების აზრი ნიადაგის უვარგისობის შესახებ. ამისთვის ვურჩევდი ქალაქს, რომ ტყის ერთი ნაწილი, სივრცით არა უმეტეს 2—3 ქცევისა, ხელდადებ მოეჭრა, მხოლოდ აგერ-ეგერ-კი დაეტოვებინა სათესლეები (сѣменники) და შემდეგ დაეხნა მიწა თხლად, რომ ბევრი ხარჯი არ გამოიწვიოს. (აქა-იქ, თითო არშინის სიშორეზე გაევლო კავი ან გუთანი). ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ნიადაგი ძლიერ გამაგრებული, გაქვავებულია და თესლს არ შეუძლიან ამ ნიადაგზე ფესვის მოკიდება. საქონელი არამც-და-არამც არ უნდა შედიოდეს მონაჭერ ტყეში.

თუმცა დარწმუნებული-კი ვარ, რომ ამ ცდას სასურველი შედეგი მოჰყვება, მაგრამ, რწმენაც რომ გამიცრუვდეს, ქალაქი მით მაინც ბევრს არას წააგებს. ის მაინც გამოცდით, დანამდვილებით ეცოდინება, თუ რამდენად სავარგისია საღორიის ნიადაგი... „ცდა ბედის მონახევრეაო", იტყვიან და ჩვენც ვცადოთ ერთი.

# სამეცნიერო წერილები.

## საქონლის ჭირი.

საქონლის ჭირი ძველად.—როგორ ებრძოდნენ ევროპაში.—საქონლის ჭირის მიკრობი და პრ. ზემმერი.—გადამდებლობა საქონლის ჭირისა.—პირველი ნიშნები ჭირიანის საქონლისა.—რა ღონისძიებას ხმარობს მთავრობა ჭირის საწინააღმდეგოდ.—აცრა და 1879 წ. კანონი.

რადგანაც ამ ჟამად ჩვენში დიდად არის გავრცელებული საქონლის ჭირი, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ვრცლად ვაუწყო მკითხველებს მცირე ცნობანი მის შესახებ.

საქონლის ჭირი უფრო ხშირია, ვიდრე სხვა რომ სენი საქონლისა! საქონლის არც ერთს ავადმყოფობას არ მიუყენებია იმდენი ზიანი რუსეთისათვის, როგორც საქონლის ჭირმა. საქონლის ჭირი ძველადვე დიდად იყო გავრცელებული მთელს ევროპაში, რომელიც შემოიტანეს ხალხთა დიდის გადასახლების დროს კასპიისა და შავის ზღვის მხრიდგან. მეცამეტე საუკუნეში ჭირმა აუარებელი საქონელი გასწყვიტა ევროპაში. მეჩვიდმეტე საუკუნეში კიდევ საშინელი ზარალი მიაყენა მთელს იტალიას და საფრანგეთს. პაპი სიკვდილით დასჯას დაემუქრა იმათ, ვინც ჭირიან საქონლის ხორცს იხმარებდა. მეთვრამეტე საუკუნეში კვალად გაჩნდა ჭირი ევროპაში და 200 მილ. მეტი საქონელი იმსხვერპლა. მაშინ-კი ევროპის სახელმწიფოებმა შეიგნეს აუცილებლობა მასთან ბრძოლისა; ავსტრიამ 30,000 გულდ. დაუნიშნა და ნიდერლანდიამ 800,000 დუკ., ვინც საქონლის ჭირთან საბრძოლველს წამალს აღმოაჩენდა; საფრანგეთმა კიდევ 1761 წელს ლიონში საბეითალო სასწავლებელი დააარსა, რათა მეცნიერულს ნიადაგზედ დაეყენებინა საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმე. ფიცხელმა და მარჯვედ მიღებულმა ღონის ძიებამ ჩქარა მოუღო ბოლო საქონლის ჭირს დასავლეთ ევროპაში და მე-XIX საუკუნეში საქონლის ჭირი უკვე აღარ გაჩენილა იქ.

თუმცა ჭირი დასავლეთ ევროპიდგან უკვე დიდი ხანია განიდევნა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი მისის გაჩენისა და ის მიკრობი, რომელიც იწვევს ჭირს, ჯერ არ არის აღმოჩენილი. პირველი ასეთი ცდა დაიწყო დორპატის საბეითალო ინსტიტუტის პროფესორმა ე. ზემმერმა 1871 წელს და იპოვნა მრგვალი მიკრობები, მაგრამ მეორე წელიწადსვე უარ-ჰყო, ჩემგან აღმოჩენილი მიკრობები საქონლის ჭირისა არ არისო. შემდეგ კიდევ ბევრი ეცადა მის აღმოჩენას. ჰალეი, ნაჩინსკი, კასტინოვი, ტოკიშოტ და თვით მეჩნიკოვი, მაგრამ ყველა ამათი ცდა ამაო იყო. ბოლოს გენერალმა ორლოვმა 60,000 მან. გადასდო მის აღმოსაჩენად; ამ ფულით მთელი სადგური იქმნა გამართული პოლტავის გუბერნიაში, რომლის გამგეობაც პრ. ზემმერს მიანდვეს. პრ. ზემმერმა დიდის ხნის ცდის შემდეგ დაასკვნა, რომ მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობაში ყოვლად შეუძლებელია საქონლის ჭირის მიკრობის აღმოჩენაო. ისეთივე აზრი გამოსთქვა მეცნიერმა კოხმაც. დღესაც პეტერბურგში მის აღმოსაჩენად მუშაობს პრ. ნენცკი, ვიჟნიკევიჩი და ზიბერ-შუმოვა.

საქონლის ჭირის გადამდებლობა საოცარია. გადადებას ხელს უწყობს დორბლი, ნერწყვი, შარდი, რძე, ნეხვი და სხვ. საცა-კი მოჰხვდება ყველა ეს, იქ იგი მაგრად იკიდებს ფეხს და 6—7 თვის განმავლობაში არ შეგიძლიანთ ის ადგილი უვნებელად ჩასთვალოთ. სიცივე ვერ ჰკლავს მიკრობს! პრ. ზემმერს შვიდი თვე ჰქონდა შენახული საყინულეში ისეთი ნივთიერება, რომელშიაც საგულვებელი იყო ყოფნა მიკრობისა, მაგრამ თავისი ძალა არ დაჰკარგა ამ ნივთიერებამ. სიცხე 50 გრ. ჰკლავს, ამაზედ ნაკლები-კი აშრობს და ერთი ბეწვა ქარის ბერვას გადააქვს სხვა ადგილებში და ედება ახლა სხვა საქონელს და აი, სწორედ ამ მხრივ არის იგი საშიში.

საქონლის ჭირი სრულიად არ უჩნდება ცხენებს, როგორც ეს ყველამ იცის, იგი სხვილ-ფეხ საქონლის ავადმყოფობაა უპირველეს ყოვლისა. მაგრამ ყველა სხვილ-ფეხ საქონელს როდი ჰხვდება იგი. მაგალითად, მოლდავანურს, სერბიულს და ე. წოდ. გარეულს საქონელს სრულიად არა ჰხვდება. ამასთანავე რამდენადაც უფრო კარგის ჯიშისაა საქონელი, მით უფრო ადვილადა ჰხვდება. ცხვარსა და თხას თუმცა ჰხვდება, მაგრამ ძალიან ადვილად იტანს.

შეხვდება თუ არა რომელსამე საქონელს, მაშინვე საჩქაროდ ვრცელდება და მთელს სოფლებს და ხეობებს ედება. გავრცელებას უფრო ხელს უწყობენ საქონლით ვაჭარნი, რომელნიც ერთის სოფლიდგან მეორეში მიერეკებიან საქონელს და ამ გვარად ყველგან ავრცელებენ ჭირს. აი, სწორედ ამ მიზეზისა გამო სავალდებულოდ გაჰხადეს ჩვენშიაც ამ ბოლო დროს რკინის გზით საქონლის მოყვანა ქალაქებში. ამათ გარდა, გავრცელებას ხელს უწყობენ ძაღლები, რომელნიც მკვდარ საქონლის ლეშსა სჭამენ, ყასბები, საქონლის ტყავით მოვაჭრენი, რომელთაც გაჰყვებათ ხოლმე ჭირის მიკრობი და მერე იმათგან კიდევ საქონელს ედება.

შეეყარა თუ არა საქონელს, 7—8 დღე უნდა გავიდეს, რომ ნიშნები გამოაჩნდეს. პირველი ნიშანი სიცხის მომატებაა, რომელიც 30—42 გრ. ადის ხოლმე, შემდეგ-კი სიცხე კლებულობს. საქონელი დაღლილივით არის, მაჯის ცემა აჩქარებული აქვს, ძროხა ცოტა რძეს-ღა იწველის, ბანალი ებურძგნება, მადა ეკარგება და საშინლად ფაღარათდება. ფაღარათობას თან-თან უმატებს, განავალი სისხლიანი აქვს და ძალიან ცუდი სუნი უდის. პირში პატარა მუწუკებს გამოჰყრის ფეტვის მარცვლის ოდენას, რომლებიც თან-თან სცვივა და იმ ადგილებიდამ ჩირქი სდის, პირიდამ დორბლი, თვალებიდამ ცრემლები. ყოველივე ესე თან-და-თან უცხოვლდება საქონელს და კვდება მე-8—12 დღეს ავადმყოფობის პირველ ნიშნების გამოჩენის შემდეგ.

ავად გამხდარ საქონლის რჩენა დიდი ხანია ევროპაში აღკრძალულია და რუსეთში მხოლოდ 1879 წ. 3 ივნისს აღკრძალეს. წინად ბევრ გვარ საშუალებას ხმარობდნენ ხოლმე. ახლა-კი, პირველი ადგილი ამ საშუალებათა შორის აცრას უჭირავს. პირველად ეს აცრა ინგლისელმა დოკონმა გამოიგონა და იურიევის პროფ. ესსენის თაოსნობით ოთხი ამგვარი ასაცრელი სადგური იქმნა გამართული რუსეთში. მაგრამ საკმაო რიცხვი ბეითალთა არ იყო, რომ მთელ რუსეთის საქონლისათვის აეცრათ და მეორეც, რადგანაც საქონლის ასაცრელად მიმრეკთ სასყიდელს აძლევდა მთავრობა, ბევრი ამით სარგებლობდა და ერთი და იგივე საქონელი მიჰყავდა რამდენჯერმე, რომ სასყიდელი მიეღო. ამიტომ მთავრობა იძულებული იყო სადგურები გაეუქმებინა და მათ მაგიერ ზემოხსენებული კანონი გამოეცა, რომ ყოველი ჭირიანი საქონელი უნდა მოიკლას. აი, ამ კანონს ასრულებენ ჯერ-ჯერობით ბეითლები ამიერ-კავკასიაში, მაგრამ, როგორც უკვე ვუწყით, მთავრობამ უკვე ასაცრელი სადგურიც ააშენა ზურნაბადში, რადგანაც პირველმა საშუალებამ ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოიტანა. ვნახოთ, რა სარგებლობას მოგვიტანს ეს სადგური.

ზ. ედილი.

ქ. იურიევი.

# დაბა და სოფელი

**მთიულეთი.** როგორც შარშანაც გწერდით, 1900 წელს ჩვენში მოხდა არჩევნები ნასწავლ მამასახლისებისა, რომლებსაც დაენიშნათ ჯამაგირები. ეს მამასახლისები თუმცა აკეთებენ ჩვენთვის ცოტა რამეს, მაგრამ უფრო ბევრის მოლოდინი გვქონდა.

ნასწავლ მამასახლისებთან ერთად ამოირჩიეს სოფლის მსაჯულებიც, რომლებიც გვემსახურებიან უჯამაგიროდ, მაგრამ ათას წილად ჯამაგირის მიცმა გვერჩივნა, ვიდრე იმის მოთმენა, რომ ამათ არც თავიანთი მოვალეობა ესმით და არც თავიანთ უფლების საზღვარი იციან. კაცი ვერ წარმოიდგენს, სადამდე მიდის მათი უპატიოსნება და ანგარება! ერთგან, მაგალითად, მსაჯულს ისე მოაქვს თავი, ვითომ ნასწავლი ვარო და ის-კი არა თუ მთელი იმისი სწავლა დამახინჯებულის რუსულის ლაპარაკია. ან-კი სად რას ისწავლიდა, მთელი დღენი მოჯამაგირედ გდებაში გამოულამდა. ეს მსაჯული, რაც უნდა საქმე იყოს, უპირველეს ყოვლისა, იმას არიგებს, აბა, რას მოგვცემ, რომ ასეთი და ასეთი განაჩენი დავადგინოთო. ართმევენ ხალხს ქრთამს და მით ჰყვლეფენ უღმერთოდ მსაჯულნი, რომელნიც შუაზედ იყოფენ ამ ნაირად ხალხისაგან აფცქვნილსა.

ერთმა იჩივლა ამას წინად ამისთანა მოსამართლეებთან: ჩხუბის დროს მომტეხა ამანა და ამან მარცხენა მკლავიო. მოსამართლე ყურადღებით მოისმენს ამ საჩივარს და ჩუმად იტყვის: «მოგვეცი მე და ჩემს ამხანაგებს 15 მანეთი, რადგან სამი კაცი ვართ და სწორ-სწორად გაგვხვდება თითოს ხუთ-ხუთი მანეთი და ჩვენ იმას დავადებთ 65 მანეთს, ესე რომ ხუთი თუმანი შენ ნაღდი დაგრჩებაო." მოჩივარიც, რასაკვირველია, აძლევს ნათხოვარ ფულს, მივა ახლა მოსამართლო პასუხის მგებელთან და მიჰმართავს შემდეგის სიტყვებით: „აბა, შე ოჯახ-დაქცეულო, შენა, რად მოახდინე ეგეთი საქმე, ეხლა შენ ხომ დაიღუპები და ციმბირი აქეთ დაგრჩება." საწყალი პასუხის მგებელიც დაუწყებს ხვეწნას და თხოვნას, რომ იშუამდგომლოს და როგორმე მოარიგოს. მსაჯული ჯერ უფრო გაინაზება და მერე ეტყვის: «აბა, შვილო, მართალია ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ყოველსავე ღონისძიებას ვიხმარ, რომ მოგარიგოთ. მაგ საქმეზედ, შვილო, შენ გადაგხდება კანონის ძალით ათი თუმანი, მაგრამ ჩვენ ცოტა ნაკლებს დავადგენთ განაჩენით: სულ რვა თუმანი გაგივა. ამაში ჩემი გასამრჯელო და ფეხის ქალამნად უნდა მომცე 15 მანეთი, დანარჩენი 65 მანეთიც მოჩივარს. ყაბული ხარ, თუ არა? თუ არ გახდები ყაბულს, მე კანონის ძალზედ გავივლი.» ეს საწყალიც თანხმობას უცხადებს.

ერთის საქმის გარჩევის დროს კიდევ მე თვითონ დავესწარი. ერთი მოვაჭრე უჩიოდა სოფლელს, რომელსაც ჰმართებოდა შვიდი მანეთი. მოახსენა თუ არა მსაჯულს საჩივარი, მაშინადვე გაიყვანა მოშორებით და დაუწყო ჩუმად რაღაც ლაპარაკი მომჩივანს. თურმე ნუ იტყვით მსაჯულს უთხოვნია მისთვის ხუთი მანეთი განაჩენის დადგენაში. ვაჭარმა აღარ დამალა მსაჯულის საიდუმლო და სახალხოდ მისცა პასუხი ამ სიტყვით: „ეხლა შენ რომ ხუთი მანეთი მოგცე, სამი აბაზიც ბეჭდის ფული გამივა,—მაშასადამე, უნდა დაიხარჯოს 5 მან. 60 კ., მე-კი მრჩება მხოლოდ შვიდი აბაზი! არა, მე მაგისთვის მაგ კაცს ვერ უჩივლებ და ეგ შვიდი მანეთიც მაგის ჭირის სანაცვლო იყოსო.»

აი, ასეთს გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილი ჩვენისავე გაუგებრობითა. ჩვენ რომ მართლა სინიდისიერსა და გაბედულს კაცს ვირჩევდეთ სოფლის მსაჯულებად, თუნდ ჯამაგირიც დავუნიშნოთ, არას წავაგებდით.

მეორე ჩვენი გაჭირვება კიდევ წარმოსდგება სხვა-და-სხვა წვრილმან ჩარჩებისაგან.

ამ ვაჟბატონებს დააქვთ სოფელ-სოფელ დამპალი და გამოუსადეგი ჩითეულობა, რომელსაც ასაღებენ ჩვენზედ ერთი ორად. ჩვენს ნაწარმოებს-კი მაგალითად: ერბოს, კვერცხს, ქათამს და სხ. იღებენ ნახევარ ფასად.

დროა გამოვფხიზლდეთ და შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა, თორემ ამდენ ზედ-მოსეულ მტერს ველარ გავუძლებთ და სულ გავნადგურდებით.

ალექსი ოგბაიძე.

**ხონი.** ამას წინად საყურადღებო განაჩენი დაადგინა ხონის საზოგადოებამ ხონიდგან სამტრედიისკენ, მათხოჯისკენ, ნაოდალევისა და ბანძისაკენ მიმავალ გზების შესახებ. ამ გზებს აკეთებდა ხონის საზოგადოება თითონ ხონელების მუშაობით. მუშაში გადიოდა უმთავრესად ღარიბ-ღატაკი და, რასაკვირველია, არც არა კეთდებოდა-რა. დღეს საზოგადოებამ დაადგინა ეს გზები (10—12 ვერსი) გაიცეს გასაკეთებლად იჯარით და გასაკეთებელი ფული გაიწეროს მცხოვრებლებზე შეძლებისა-და-გვარად. ფულის ამწერად აირჩიეს ოთხი კაცი, ხოლო მეთვალყურედ აქაურ პოლიციის ორი ბოქაული, ბლაღოჩინი მღვდელი მაჭარაძე და მასწავლებელი ვლ. მ—ძე. თუ უგზოდ ცხოვრება გაჭირვებული გვაქვს, ეს საშუალება სწორედ ამ სენის გამკურნავი უნდა შეიქნეს. ყველას თვალყური ამ საქმეზეა მიქცეული და მოუთმენლად მოელიან მის ადრე და მალე დამთავრებას.

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხონს ამ გზებს გარდა აქვს კიდევ, ასე ვთქვათ, შინაური ანუ თვითონ ხონის გზები. ამ გზების პირველი ნაკლი ვიწროობაა. არ იქნებოდა უდროვო, რომ ხონს წაებაძა ამ შემთხვევაში კუხის საზოგადოებისათვის. აქ ადგილობრივის პოლიციის და ხონის ნაწილის ბოქაულის თ. ფ—ვას თაოსნობით საზოგადოებამ, უგზოობით თავმობეზრებულმა, გზების გაგანიერება სავალდებულოდ გაიხადა და ამისთვის განგებ ამორჩეულ კაცებს და პოლიციას მიანდო გაეგანიერებია გზები. არა მგონია, რაც ჩვენში მამასახლისობა შემოსულა და სოფელს განაჩენებით თავის საჭიროების გაძღოლის ნება მისცემია, გარდა სკოლების დაარსებისა, ასეთი გონიერი განაჩენი დადგენილიყოს. გარდა გზების გაგანიერებისა, ამ განაჩენით ბოლო მოეღო ათასობით მეზობელთა შორის სოფლის სასამართლოში დავებს გზების შესახებ. სოფლის სასამართ-

რილში გვიმტკიცებს, მართალი არ არისო, ვითომც ჩვენი გლეხობა გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ვითომც მისი გაჭირვება მიწის უქონლობისაგან წარმოსდგებაო".

ეს ტირადა გამოგონილია, ფანტასმაგორია გახლავთ. აი, რა ვსთქვი მხოლოდ გაკვრით ჩემ წერილში:

„მაგრამ ამათ (ე. ი. გლეხკაცობის) მდგომარეობაზედ შემდეგს წერილებში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ და იქ დავინახავთ ნათლად მათს გარემოებას. ახლა-კი იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ მე სულაც არ მინდა ვსთქვა, ვითომ ეს გლეხ-კაცობა გაუჭირვებელს მდგომარეობაშია და ჩვენი მიშველება არ ეჭირვება-მეთქი. არა, სრულიადაც არა. ჩვენში ნივთიერად ჯერ ყველა ხარისხისა და წოდების ხალხი მეტად დაქვეითებულია და გაჭირვებული, მაგრამ აქ მიწის უქონლობა მაგდენ რიგად არაფერს შუაშია. მართალია, არის ისეთი კუთხეებიცა და მაზრებიც ტფილისის გუბერნიაში, სადაც გლეხკაცობას საკმარისი მიწა არ უჭირავს, მაგრამ ამისთანათა რიცხვი ფრიად მცირეა. შემდეგ მათ შესახებაც მოვილაპარაკებთ".

საკადრისია ასეთი გადასხვაფერება ჩემის ნათქვამისა?

ჩემი მართლა-და „უშველებელი წერილი" სულაც გლეხ-კაცობის ცხოვრების გამოკვლევას და დასაბუთებას ჯერ არ ეხებოდა, ამაზედ იქ მხოლოდ გაკვრით იყო ნათქვამი. ეს „უშველებელი წერილი" უშველებელ და აუარებელ შეცდომების და არევ-დარეულ, მიკიბ-მოკიბულ ციფირების გასწორებას მოვანდომე, მაგრამ ბ-ნ ა. ჯ—ძის „ოშიბკების" აღნუსხვა მაინც ვერ შევძელ მარტო ერთის „უშველებელის წერილით".

არავის ნება არა აქვს ჯერ მიკიჟინოს გლეხ-კაცობაზე ამა და ამ აზრისა ხარო, ვიდრე დაპირებას არ შევასრულებ და გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრებას არ ავწერ და არ დავასაბუთებ. გულთმისნობა უადგილოა, როდესაც მე თითონ ვპირდები მკითხველს გლეხ-კაცთა მდგომარეობაზედ შემდეგ წერილებში დაწვრილებით მოვილაპარაკებ-მეთქი. ვერ მოუთმენია, გული გულის ადგას არა აქვს ბ-ნ ა. ჯ—ძეს, ვაი თუ ტფილისელის წერილების შემდეგ მე „დემოკრატის" სახელი ჩამომერთვასო და იმან „რეტროგრადობა", „ბიუროკრატობა" და „კონსერვატორობა" თავიდან აიცილოსო. თუ ეს აწუხებს ბ-ნ ა. ჯ—ს და მხოლოდ ამიტომ ურევს ციფირებს და აზრებს, დიდის სიამოვნებით ვაღიარებ და ყველას, ვინც-კი დამეკითხება, ვიტყვი, რომ ამა და ამ ქალაქში არის ერთად-ერთი „დემოკრატი" ბ-ნი ა. ჯ—ძე და, თუ ამით არ დაკმაყოფილდება, იმასაც დავუმატებ აგრეთვე დიდის სიამოვნებით, (საიდან მოიგონა ბ-ნმა ა. ჯ—ძემ, რომ მე ეს ვითომ მწყინს) რომ ტფილისელი, თქვენი უმორჩილესი მონა, „ბიუროკრატი" „რეტროგრადი" და „კონსერვატორი" გახლავთ-მეთქი. რა გაეწყობა, თუ ამით მაინც მოისვენებს ბ-ნი ა. ჯ—ძე და ახალ-ახალ შეცდომებს ასცილდება, დეე, ვიყო მე „კონსერვატორი". კარგი და პატიოსანი. როგორც გოგოლი „რევიზორში" ამბობს: „ალექსანდრე მაკედონელი, ვსთქვათ, უდიდესი კაცი იყო და სკამების მტვრევა რაღა შუაშიაო!" ვსთქვათ, მეც „რეტროგრადი", „ბიუროკრატი" გახლავართ, ციფირების და აზრების არე-დარევა რაღა გახლავთ?!..

სჯობიან, თითონ ბ-ნ ა. ჯ—ძის წერილი ავალაპარაკოთ და, როგორც ნათქვამია, „ციხე შიგნიდგან გატყდებაო", მისი ჰაერში აგებული კოშკი დავფუშოთ იქვე შეკრებილ ციფირების და მოსაზრების რაზმთა დახმარებით.

ბ-ნი ა. ჯ—ძე ზრდილობიანობას მიკიჟინებს, მაგრამ თითონაც-კი ზრდილობით მექცევა; ხოლო გაიხსენეთ ერთი, რა ფასი აქვს ამ ზრდილობას და თავ-მდაბლობას. იგი ბრძანებს:

„წინდაწინვე მადლობა უნდა გადავუხადოთ ბ-ნ ტფილისელს ერთი ჩვენი შეცდომის გასწორებისათვის. მართალია, დროებით ვალდებულ გლეხებს 1888 წლამდე 25,254 დეს.-კი არ გამოუყიდნიათ (როგორც მქონდა ნაჩვენები), არამედ 10,503 დესეტინა, როგორც მოხსენებულია ოფიციალურ სტატისტიკაში.

ამ შეცდომის გასწორებისათვის მადლობელი ვარ განსაკუთრებით იმიტომ, რომ უფრო თვალსაჩინოდ ჰყოფს აღნიშნულ დროებით ვალდებულ გლეხ-კაცობის გაჭირვებას. 57,632 სულს საკუთრებად მხოლოდ 10,503 დეს. ჰქონია, და გამოსასყიდი მიწა დარჩა 45,256 დესეტინა".

სწორე მოგახსენოთ, მადლობა, აბა, ამასა ჰქვიან! მერე განა, მარტო ეს ერთი შეცდომა გავუსწორე ბ-ნ ა. ჯ—ძეს? მთელი „უშველებელი წერილი" იმის შეცდომების გასწორებას მოვანდომე და მადლობას მარტო ამ ერთ შეცდომის გასწორებისათვის მითვლის?

სხვა გასწორებული ციფირები ბ-ნ ჯ-ს დოქტრინის წინააღმდეგია და ალბად ამიტომ ვერ ვღირსე მის მადლობას ამ ციფირების გასწორებისათვის.

ბ-ნი ა. ჯ—ძე გულთმისნობს და ჩემზედ ბრძანებს:

„ბ. ტფილისელი იტყვის, რა უფრო, რომ ამ გლეხებს მთლად ვერ შეუსყიდიათ თავიანთი ნადელები—ფაქტიურად მათ 55,759 დეს. მიწა უჭირავთო."

როგორ თუ ვიტყვი? საიდგან გაიგო, რომ სწორედ ამას ვიტყვი! ბ-ნ ჯ—ძეს ძალიან უნდა, რომ ისა ვსთქვა, რაც მისთვის სანატრელია. რათაო? იკითხავთ. როგორ, თუ რათა? სხვა რა ღონისძიებით დაამტკიცოს, მაშ, რომ ჩვენში მარტოდ-მარტო ისა ბრძანდება გლეხ-კაცობის მოსარჩლე და დანარჩენები-კი მათი მტრები არიან! ახირებულია! მთელი ჩემი სიცოცხლე გლეხ-კაცობას ისე შევხაროდი, როგორც ყველა დანარჩენ ჩემ მოძმეთ და ახლა, ბ-ნ ა. ჯ—ძის სასიამოვნოდ როგორ შევიცვალო გული და მტრულად როგორ დავუწყო ცქერა გლეხ-კაცობას?

„ეს სიტყვები ბ-ნ ჯ-ძისა როგორღა მოგწონთ?"

„ჩვენ ვსთხოვთ ბ. ტფილისელს, დაუკვირდეს იმას, რას ართმევენ გლეხებს სხვა-და-სხვა გადასახადის სახით ამ 55,759 დესეტინის ჭერისათვის და „დოკტრინიორობა" მას შემდეგ გვისაყვედუროს.

ხოლო ბ. ტფილისელი ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. რა ფასით, რა შრომით ჰყიდულობს გლეხი მიწის სარგებლობის უფლებას, ყველა ეს „ივერიის" პუბლიცისტისათვის უმნიშვნელოა. საქმე მიწის რაოდენობაა, რომლითაც გლეხობა სარგებლობს".

ამისთანა უცნაურობაზე სწორედ ზედ გამოჰკრილია: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო!" მერე როდის და სად რა გამოვსთქვი ჯერ ჩვენ გლეხ-კაცობაზე, როდის და სად დავსტოვე კიდეც ვითომ „უმნიშვნელოთ" მიწის გადასახადი და მხოლოდ მიწის რაოდენობით დავასაბუთე ჩემი მოსაზრება? როცა ბ-ნ ჯ—ძის წერილის შესახებ ჩვენს გლეხ-კაცობას შევეხე, გაკვრით, აი, რა ვსთქვი („ივერია" № 27):

„ნუ-თუ ქონებას მარტო მიწის რაოდენობა შეადგენს და სხვა არავითარი ნივთიერი ძალ-ღონე მხედველობაში მისაღები არ არის? თუ თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცთა ქონების დასაფასებლად და შესადარებლად მარტო მიწა ვიგულისხმეთ, მაშინაც-კი მიწის რაოდენობით ვერაფერს ვერ დავამტკიცებთ და ვერ გამოვიკვლევთ, თუ ისიც არ გვეცოდინება, რა თვისებისა და ღირსების მიწა უჭირავთ ან ერთსა და ან მეორეს."

როგორ? მე ვუსაყვედურე ბ-ნ ჯ—ძეს, მარტო მიწის რაოდენობით არა დამტკიცდება-რა მეთქი, და აი, ეხლა მევე გადამაბრალა თავისი შეცდომა! „ასე, ჩემო მონასეო, ხან ისე და ხან ასეო"!...

რა-კი ბ-ნმა ჯ—ძემ ეს დამაბრალა და იფიქ-

ლოს განაჩენებით არავის მოპარული გზა არ ჩამოართმევია, არსად გზა არ გაგანიერებულა და ხშირად სოფლის ერთის კუთხიდგან მეორეში მისასვლელი მოკლე გზები, მამა-პაპათაგან დატოვებული, სამუდამოდ დაკარგულა. ხარჯი და მოცდენა სხვაა. დღეს არჩეული კაცები საქებურის ენერგიით და მიუდგომლობით ცდილობენ მოხსენებულ განაჩენის შესრულებას და, რაღა თქმა უნდა, ყველა მოგვლეა მათ ხელი შეუწყოს.

სოფლელი.

# რუსეთი

სატახტო ქალაქების გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა: „21 თებერვალს ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, საღამოს, მისის უდიდებულესობის როტის იუნკრები, სხვა როტების იუნკრებთან ერთად, გაკადნიერდნენ იმდენად, რომ მოახდინეს უწესოება; შეურაცხყოფა მიაყენეს მორიგ ოფიცერსა და შემდეგ ბატალიონის უფროსსაც. თავისს გატაცებაში იუნკრებმა იმდენად დაივიწყეს სამსახურის მოვალეობა და სამხედრო დისციპლინის წესი, რომ უწესოებათა მოსასპობლად სასწავლებლის უფროსიც უნდა ჩარეულიყო.

როდესაც სამხედრო მინისტრმა უქვეშევრდომილესად მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს ეს სამწუხარო ამბავი, სამხედრო სასწავლებელში მომხდარი, მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: 1) სასწავლებლის ფელდფებელებსა და პორტუპეი-იუნკრებს აეხადოს მათი ღირსება და ჩარიცხულ იქმნან უბრალო ჯარის-კაცებად; 2) ნება მიეცეს სასწავლებლის დირექტორს არა-საიმედო იუნკრები სასწავლებლიდან გამორიცხოს და გაგზავნოს ჯარებში; 3) წაერთვას მის უდიდებულესობის როტის იუნკრებს უფლება ატარონ გულზე ნიშანი ხელმწიფე იმპერატორის სახით; ამასთანავე წაერთვას როტას ბედნიერი უფლება ხელმწიფე იმპერატორის მილოცვისა აღდგომა დღეს; 4) სასწავლებლის უკანასკნელ კლასის იუნკრებს წაერთვას უფლება გვარდიაში ჩარიცხვისა.

შემდეგ ამისა, სამხედრო სასწავლებლის უფროსის შემოწმებით, სასწავლებლის იუნკრებმა სამწუხარო უწესოებათა შემდეგ სრულიად მოინანიეს თავისი შეცდომა და გულწრფელად მოისურვეს ხელმწიფე იმპერატორისაგან პატივება დაემსახურებინათ. როდესაც ეს გარემოება უქვეშევრდომილესად აცნობა სამხედრო მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორს, მისმა უდიდებულესობამ უმოწყალესად ბრძანა ეპატიოს სასწავლებელს ზემო აღნიშნულნი სასჯელნი“.

— იურიევის უნივერსიტეტში, როგორც გადმოგვცემს „რიჟსკი ვესტნ.“ გამოკრულია შემდეგი განცხადება, რექტორის მიერ ხელმოწერილი: „ამით ვაცნობებ უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ მისის მაღალ-აღმატებულების რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, უნივერსიტეტში ლექციები და მეცადინეობა დროებით შეწყვეტილია“.

# უცხოეთი

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** როგორც ინგლისური გაზეთი „Daily Mail“-ი გადმოგვცემს, ინგლისის მთავრობა ერთის თვის შემდეგ 10 ათას კაცსა ჰგზავნის თურმე სამხრეთ აფრიკაში. ინდოეთშიაც ამზადებენ ჯარს აფრიკაშივე გასაგზავნად. აშკარაა, ინგლისის საქმე ცუდად არის, თუ ამდენ ჯარსა ჰგზავნის; აშკარაა ისიც, რომ ომს აგრე მალე არ მოეღება ბოლო, როგორც ინგლისელნი ჰფიქრობენ. ოფიციალურის ცნობებით, 1902 წლის პირველ იანვრისათვის აფრიკაში ინგლისს 237,000 კაცი ჰყოლია, აქედგან 11,720 კაცი საავადმყოფოებში ყოფილა. 1899 წლის 1 აგვისტოდგან 1901 წლის 31 დეკემბრამდე მთავრობას სამხრეთ-აფრიკაში გაუგზავნია სულ 388,749 ჯარის-კაცი.

— საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს „Matin“-ის თანამშრომელი დე-გუ. აი, რა უთქვამს ამ ჟურნალისტისათვის მოხუც პრეზიდენტს კრიუგერს: „ინგლისელები გვპირდებოდნენ ზავის ჩამოგდებას და ამნისტიას, გვპირდებოდნენ აგრეთვე ომისაგან მოყენებულ ზარალის აღდგენას; მაგრამ დამოუკიდებლობას-კი არ გვანიჭებდნენ, თითქოს თავისუფლება სავაჭრო ნივთი იყოს, რომლის ფულზე გაყიდვაც შეიძლებოდეს. თავისუფლება მთელს ქვეყნის სიმდიდრეზედ უძვირფასესია! ღმერთმა მოგვანიჭა იგი, და წყეულნი უნდა ვიყვნეთ, რომ თავისუფლებაზედ ხელი ავიღოთ. ჩვენ მივმართეთ ჰოლანდიის მთავრობასა და სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ დღემდე ამ უკანასკნელთ ყურიც-კი არ გვათხოვეს. სასოწარკვეთილებას მაინც არ ვეძლევით. ინგლისის ხალხს გზა-კვალი აუბნიეს, უსირცხვილო ფინანსისტებმა მოატყუეს, ატყუებდნენ ომის დაწყებისას და ატყუებენ დღესაც. დღეს ამ საქმეს ჯარის წინამძღოლნი და გენერლები სჩადიან. ეს ვაჟბატონები ცრუ ცნობებით გზა-კვალს უბნევენ ხალხს. ამბობენ, ინგლისელებს ეხლა ხელთ უჭირავთ მთელი ჩვენი მიწა-წყალიო. სიცრუვეა, იმ ადგილებს გარდა, სადაც ინგლისის ჯარი სდგას, დანარჩენ დაბა-სოფლებსა და ქალაქებს ბურები განაგებენ. თან-დათან დაჭერილი ადგილებიც ეცლებათ ხელიდგან ინგლისელებს. ფაქტები დაამტკიცებენ ჩემის სიტყვების სინამდვილეს და ამხილენ მოწინააღმდეგეთა სიცრუეს. როდესაც ინგლისის ხალხი საქმის ნამდვილ ვითარებას შეიტყობს თვითვე მოისურვებს ზავის ჩამოგდებას“.

**ინგლისი.** უოლსლეის სამხრეთ-აფრიკაში გამგზავრებამ არა-ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია ინგლისში. არავის არა სჯერა, რომ მოხუცი ფელდმარშალი კერძო საქმეებისა გამო მიდის სამხრეთ-აფრიკაში, თუმცა ოფიციალური გაზეთები და უოლსლეის მეგობარნი დაბეჯითებით გაიძახიან, რომ უოლსლეის არავითარი მინდობილება არა აქვსო. იმათის სიტყვით, უოლსლეი ერთის სანავოსნო საზოგადოების გამგეობის წევრად არის და სამხრეთ-აფრიკაში, აი, ამ საზოგადოების საქმეების გამო მიდისო.

— ირლანდიელ დეპუტატთა მეთაურად ნამყოფს, ჯონ დამსონს, ამას წინდა გლაზგოში დიდი სიტყვა წარმოუთქვამს. ორატორს უმთავრესად ბურების შესახებ ულაპარაკნია. მიტინგს ორი-ათას კაცზედ მეტი დასწრებია. დამსონს დიდად შეუქია დელარეის ვაჟკაცობა და მამაცობა. ხალხს დაუყვირნია რამდენჯერმე: „გაუმარჯოს დელარეის!“ „გაუმარჯოს ბურებსო!“ ამ ამბავმა ინგლისელნი ძალიან დაალონა. გლასგო შოტლანდიის დედა-ქალაქია და, როგორცა სჩანს, ირლანდიელებსავით შოტლანდიელნიც წინააღმდეგნი არიან ეხლა სამხრეთ-აფრიკის ომისა.

— ინგლისს თავისის, უიმისოდაც დიდის, ფლოტის გადიდება მოუწადინებია. ინგლისის ფლოტის ბიუჯეტს 1.200,000 მ. მიუმატეს წელს. გაისს 18 ახალი სამხედრო გემი ექნება ინგლისს მზათ.

— ლიბერალთა მეთაურმა კემპბელ-ბანერმანმა წარსულ ორშაბათს საზოგადოებათა პალატაში განაცხადა, რომ საჭიროა გამოძიების დანიშვნა, იმ ბოროტ-მოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნ ცხენებისა და სურსათის ყიდვის დროს ჩაუდენიათო. ეს მით უფრო საჭიროა—სთქვა მან,—რომ ეს ამბები დღეს მთელმა ქვეყანამ იცისო; დიდად საყურადღებოა ამის გამორკვევა იმ პირთათვის, რომელნიც ამდენ ხარჯს ეწევიან, აგრეთვე მათთვის, ვისზედაც უნდა იხარჯებოდეს იგი. ბოლოს გამოდის, რომ ყველანი ცარიელზედ რჩებიან და მხოლოდ მოიჯარადრენი ისქელებენ ჯიბეებს. შარშანდელ საფინანსო წლის დამლევს დახარჯული აღმოჩნდა 130.561,000 გირვანქა სტერლინგი; აქედგან 120,000,000 გირვანქა სტერლინგმა სხვა-და-სხვა მოიჯარადრე-შუამავლის ხელში გაიარა. თუ გნებავთ, რომ გამოძიებამ უქმად არ ჩაიაროს, დაუყოვნებლივ დანიშნეთ გამომძიებელი კომისია და დაავალეთ, რომ ეხლავე შეუდგეს ჯერ ცხენების ყიდვის დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედების გამოძიებას, რადგან ყველაზედ უფრო ცუდათ ეს საქმე იყო დაყენებული; ამას თვით კიტჩენერის მოხსენებაც ჰმოწმობსო. ბანერმანის წინადადებას მხარი მისცა ლაბუშერმაც. ამათ სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა უპასუხა, რომ პრინციპიალურად ვეთანხმები კემპბელ-ბანერმანის წინადადებას, მხოლოდ მთავრობის აზრით ეხლავე გამოძიების დაწყება მოუხერხებელია, რადგანაც ამისათვის ბევრი აფიცერი ჩვენების ჩამოსართმევად ინგლისში უნდა გამოვიწვიოთო. ამისათვის ვსთხოვ პალატას გამოძიება მერმისისათვის გადასდოსო. პალატამ შეიწყნარა ეს წინადადება.

**ჩერნოგორია.** ჩერნოგორიიდგან ერთ გაზეთს ატყობინებენ, რომ ცეტინიეში (ჩერნოგორიის სატახტო ქალაქია) არა ჩვეულებრივე მოძრაობააო. მთავარს ნიკოლოზს თითქმის ყოველ-დღე თათბირი აქვს თურმე თავისს მთავარ შტაბთან. სასახლე დღე და ღამ აფიცრებითაა სავსე. საზოგადოება, იმავე გაზეთის სიტყვით, დარწმუნებულია, რომ სამთავროს ახლო მომავალში ომი მოუხდება. ამას წინად მთავარი მოსაზღვრე ქალაქს რიჯკში იყო, სადაც დეპუტაციები მიუღია ალბანიის ქალაქებისაგან. თვით მთავარს საჩუქრები დაურიგებია ალბანელთა წინამძღოლებისათვის. ვენაში ფიქრობენ, რომ მთავარი საომრად ემზადებაო, მაგრამ ვისთან, არ იციან.

**ოსმალეთი.** როგორც კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, ბოლგარელ რევოლუციონერთა რაზმი წარსულ კვირას თავს დასცემია ოსმალეთის ჯარის-კაცებს ჯუმ აბალაში. მოუკლავთ ორი ჯარის-კაცი და დაუჭრიათ რამდენიმე.

— სულთანს ბრძანება გაუცია, რომლითაც სტიპენდიები მოესპოს საზღვარ-გარეთ სასწავლებლად მყოფ ოსმალეთ ყმაწვილ-კაცებს. დღემდე ოსმალეთის მთავრობა დიდძალ ყმაწვილ კაცებსა ჰგზავნიდა საზღვარგარეთ, უმთავრესად პარიჟსა და ჟენევაში, უმაღლეს სწავლის მისაღებად. სტიპენდიების მოსპობის მიზეზი ის იყო, რომ ოსმალელი მოსწავლენი დასწრებიან პარიჟში მომხდარ ახალგაზრდა ოსმალთა კონგრესს. მოუსპიათ სულ სტიპენდიები 70 კაცისთვის.

**ესპანია.** კლერიკალიზმი არსად ისე არ არის გაძლიერებული, როგორც ესპანიაში. უკანასკნელის ანგარიშით ესპანიაში 4 კარდინალია თურმე, 9 მთავარ-ეპისკოპოსი, 51 ეპისკოპოსი, 543 ,,dignidades‘‘-ი (საპატიო სასულიერო პირი), 1239 მთავარ ეკლესიათა წინამძღოლი, 16,931 სხვა წინამძღოლი, 23,698 ,,პრებენდარი‘‘, 5,475—კაპელანი, 10,876—დიაკონი, 5,532—მესსების მოსამსახურე, 13,224—პატერი ასისენტი და თანაშემწე, 5,774—სხვა პატერი, 37,368—ბერი, 2,290—მორჩილი, 7,802—ძმა მოწყალებისა ორდენთა წევრი, 151 კონგრეგაციის პატერი, 20,550 მონოზანი, 1,005—მორჩილი ქალი, 1,130—და მოწყალებისა; სულ 154,527 სასულიერო პირი, ქალი და კაცი, 18 მილიონ მცხოვრებზედ. ბოლოს დროს ბერებისა და მონოზნების რიცხვი თან-და-თან მრავლდება. დიდ-ძალ ფულსა ჰხარჯავს ესპანია მონასტერ-ეკკლესიებსა და სასულიერო პირებზედ. საფრანგეთში 38 მილიონი მცხოვრებია და ხაზინა ეკკლესიაზედ ხარჯავს 43 მილიონ ფრანკს; ესპანია-კი, სადაც 18 მილიონი მცხოვრებია, 70 მილიონს ფრანკს. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ესპანიაში აღელვებაა!..

# წვრილი ამბები

ერთ ამერიკულ ქალაქს, სახელად კრიგტონს, გადაუწყვეტია დედა-ბუდიანად აიყაროს ძველ ადგილიდგან და ახალზედ გადასახლდეს. ეს ახალი ადგილი ძველიდგან 15 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. ამერიკელთა ჩვეულებისამებრ, სახლებს, როგორც ხისას, ისე ქვითკირისას, დაქცევას არ უპირებენ, არამედ მთლიანად გადატანას. მთავრობას ადმინისტრაცია გადაუტანია და ქალაქის მცხოვრებთაც ამიტომ გადაუწყვეტიათ გადასახლება.

* *
*

რუმინიაში ამას წინად დაუპატიმრებიათ ერთი ყაჩაღი, ბუჯკანუ, რომელიც ძალიან დიდ ხანს დათარეშობდა თურმე მდინარე დუნაის ნაპირებზედ. ბრალად ამ ყაჩაღს 520 მკვლელობა ედება, 1000 მგზავრის გაძარცვა და 3,000 ქურდობა. ყველა ამის-და მიუხედავად ყაჩაღს დიდი სახელი ჰქონია გავარდნილი რუმინელ გლეხთა შორის, რადგანაც იგი დახმარებასა და შემწეობას უწევდა და სძარცვავდა უმთავრესად შეძლებულთ.

* *
*

კარგა ხანია ცნობილია, რომ შეიძლება კაცს რამე სენი ნახმარ წიგნებისაგან გადაედოს, რადგანაც ბევრჯელ წიგნთ-საცავებში წიგნებს ავადმყოფნიც ხმარობენ. ხშირად მომხდარა, რომ სენი კანცელარიაში დიდის ხნის ნახმარ ქაღალდებისაგან გადასდებიათ. ამას წინად ჩრდილოეთ ამერიკაში მიჩიგანის ერთ სადმინისტრაციო დაწესებულებაში ჭლექით ავად გამხდარა ოცი [illegible] შტატებიდგან მიღებულ სას[illegible] ბის რეგისტრაცია ებარათ. როდესაც ექიმებმა ფურცლები გაჩხრიკეს, შიგ ჭლექის ბაცილები იპოვნეს. უნგრეთში წიგნების ვაჭართა სინდიკატმა მთავრობას მიჰმართა და სთხოვა აუკრძალოს ძველის წიგნების მაღაზიებს მოსწავლეებს წიგნები მიჰყიდონ ხოლმე, რადგანაც ამ წიგნების წყალობით ბავშვები ხშირად ავად ხდებიანო. ამ თხოვნის გამო „საერო საზოგადოება“ ცდას და კვლევა-ძიებას შესდგომია. ეს საქმე მას ქიმიკოს კრაუშისთვის მიუნდვია, რომელიც გამოკვლევას ამნაირად შესდგომია. ძველ წიგნების ფურცლებს ჰყრიდა თბილ წყალში, შემდეგ ამ წყალს ზღვის გოჭებს კან ქვეშ უსხურებდა. გოჭების უმრავლესობა ავად ხდებოდა თურმე. ბევრისთვის ახალის წიგნების წყალიც შეუსხურებია, მაგრამ არც ერთი გოჭი არ გამხდარა ავად. კრაუში დარწმუნებულა, რომ ძველის წიგნების წყალობით შეიძლება სხვა-და-სხვა სენისა და ავადმყოფის გავრცელება. ქიმიკოსი საჭიროდ სცნობს ძველ წიგნების დეზინფექციას. უნგრეთში ამ გამოკვლევას დიდი ლაპარაკი გამოუწვევია. ბევრს საჭიროდ უცვნია, რომ მთავრობამ აუკრძალოს მაღაზიებს ძველის წიგნების ყიდვა. გამოირკვა თურმე, რომ ბუდა-პეშტის სკოლებში ახალი წიგნები მოსწავლეთა მხოლოდ 18 პროცენტსა ჰქონია, დანარჩენნი ძველ წიგნებსა ხმარობენ.

# წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ვალი დამდოთ და გამოაცხადოთ უმახლობელესს ნომერში რომ მე არ მეკუთვნის „ივერიის» № 51-ში დაბეჭდილი წერილი დ. ყვირილიდგან წიგნთ-საცავის შესახებ. არც წინანდელი შენიშვნები მეკუთვნის მე, რადგან კარგა ხანია ზესტაფონის ბიბლიოთეკის შესახებ არარასა ვწერ «საპატიო მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა.‘‘

ვარდენ ჩხაიძე.

რედაქცია ამით ამტკიცებს, რომ ხსენებული წერილი ბ. ვარდენ ჩხაიძის დაწერილი არ არის.

# დეპეშა

(,,რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან‘‘).

12 მარტი.

**ოდესა.** ,,ოდესის გრადონაჩალნიკის უწყებებში‘‘ სწერია, რომ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ გააბედნიერეს გრაფინია ა. ი. შუვალოვისა ძვირფასის ვაზების ჩუქებით. ეს ვაზები გაკეთებულია საიმპერატორო ფაიფურის ქარხანაში და აჩუქეს გრაფინიას მის მიერ განზრახულის ლატარიისათვის, რომლის შემოსავალიც დანიშნულია ღარიბთა თავ-შესაფარ ახალ შენობათა ამგებ საზოგადოების თანხის სასარგებლოდ.

**ხარკოვი.** შესდგა საზოგადო კრება საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. საზოგადოებამ შარშან იზარალა აქაურ საადგილ-მამულო ბანკის გაკოტრებით. თუმცა საწევრო გადასახადი დამატებითად შეიტანეს, მაგრამ მაინც საჭირო შეიქმნა კიდევ დაჰფარონ 157,000 მანეთის ზარალი. ბალაშოვის რკინის გზით ყოველ დღე დიდ-ძალი ხალხი მიდის ჩელიაბინსკში დასასახლებლად.

**მოსკოვი.** გეტინგენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს ლიუბოვ ზაპოლს-

---

რა, რომ შერჩებოდა კიდეც, მერე განაგრძო:

„პირველი მოსაზრება (გადასახადის სიმძიმე) სრულებით არ მიუღია სახეში ბ. ტფილისელს[1]). ეს საგანი-კი ძლიერ საინტერესოა. (მერე მე ვარ ამის წინააღმდეგი?!). ერთი მილიონი დესეტინა მიწაც რომ მეჭიროს, თუ-კი ვერ აუვალ ხარჯს, ჩემი სიმდიდრე სიმდიდრედ არ ჩაითვლება. სახაზინო გლეხობა, სხვა გლეხებთან შედარებით, წელში უფრო არის გამაგრებული[2]). მხოლოდ ყველა ეს შედარებითია დაუკვირდეთ იმას, რას ახდევინებდნენ ამ გლეხებს, სანამ ახლ გადასახადის წესს შემოიღებდნენ.“

მე ამაზედ ეხლა საუბარს არ ვაპირებდი და არც ვაპირებ, რადგან თავისს ალაგას და თავისს დროზე შევეხები, მაგრამ რაკი მიბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე „დაუკვირდეთო“! მეტი რა ჩარაა, უნდა დავუკვირდეთ. აი, მისი სიტყვები: „საკომლო (სახელმწიფო) გადასახადი ამერეთში 8 მ. 50 კ. იყო, იმერეთში 6 მანეთი (Сводъ матер. по изучен. быта гос. крест. стр. 139). ხომ ჰნახეთ, წიგნის ფურცელიც-კი ნაჩვენებია, 139! აბა, ამ ციფირზე ეჭვი ვისღა უნდა შეეპაროს? არ ვიცი, მადლობას მეტყვის ბ-ნი ა. ჯ—ძე, თუ კიდევ თავისებურად მიაფუჩეჩებს ამ გასწორებასაც, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა მოვახსენო, რომ აქაც ვერა ჰბრძანებს მართალს. გასაოცარია სწორედ! ბ-ნი ა. ჯ—ძე ძალიან გარისხდა, როცა მიუთითეს „ბროკჰაუზის სლოვარზე“, თქვენი არ არის რაცა ბრძანეთ, იქიდგან ამოგიღიათო. მან რიხით უპასუხა, განა წიგნები იმისთვის არ არის დაწერილი, რომ ყველამ წაიკითხოსო?! იქით იყოს ეს უცნაური თავის მართლება! და ახლა ჩემის მხრივ მეც დავეკითხები ბ-ნ ა. ჯ—ძეს: განა, იმისთვის მოუნდომებიათ დიდი შრომა და ციფირებიანი წიგნები იმიტომ დაუბეჭდიათ, რომ ბ-ნმა ა. ჯ—ძემ ყველა,—დიაღ, ყველა—ციფირი გადაასხვაფეროს და დაამახინჯოს?!.

აი, ნამდვილი ციფირები, იმავე წიგნში ნაჩვენები, რას ამბობს: ამერეთში საკომლო გადასახადი 8 მ. 50 კ.-კი არ არის, როგორც ჰბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე, არამედ 3 მ. 80 კ., იმერეთში 6 მანეთი-კი არა, არამედ 3 მ. 83 კ.[3]) ვგონებ ამ ციფირებს და ბ-ნ ჯ—ძის ციფირებს შორის დიდი ზღვარი სძევს. ბ-ნ ა. ჯ—ძის მეტი ვინ შესცვლიდა 3 მ. 80 კ. 8 მან. და 50 კაპიკად?!

რომ უფრო აშკარად შეიქმნას ყველასათვის ბ-ნ ა. ჯ—ძის მეცნიერული მეთოდი, აქ მოვიყვან, როგორ არის ნაჩვენები ეს საკომლო გადასახადი ტფილისის გუბერნიაში თვითოეულ მაზრისათვის:

| მაზრები: | საკომლო გადასახადი: |
| --- | --- |
| ტფილისისა . . . . . . . | 3 მ. 74 კ. |
| გორისა . . . . . . . | 4 — 73 |
| თელავისა . . . . . . . . | 3 — 31 |
| სიღნაღისა . . . . . . . | 4 — 91 |
| ახალქალაქისა . . . . . . | 4 — 37 |
| თიანეთისა . . . . . . . | 2 — 88 |
| ახალციხისა . . . . . . . | 4 — 91 |
| დუშეთისა . . . . . . . | 1 — 63 |
| ბორჩალოსი . . . . . . . | 3 — 58[4]) |

ერთი ჰკითხეთ ახლა ამ ახალ მცნების მეცნიერს, რომელ მაზრაშია საკომლო გადასახადი 8 მ. 50 კ.? იმავე წიგნში ნაჩვენებია, რომ თითო დესეტინა კულტურულ მიწას (культурной земли, ე. ი. ვენახები, ბაღები, საბოსტნე, სახნავი და სხვა ამ გვარი) აქვს მიწისა და საკომლო (поземельная и надѣльная повинность) გადასახადი ტფილისის გუბერნიაში—65 კ. და ყოველ გვარ მიწას—22 კ., ქუთაისის გუბერნიაში-კი 1 მ. 42 კ. და 91 კ.[5]) ეს გადასახადი მძიმე გადასახადია თუ არა, ახლა არას ვიტყვი, რადგან ამ საგანს მერე, შემდეგს წერილებში, დაწვრილებით შევეხები.

როგორაა? იკითხავს ყველა,—ნუ-თუ ბ-ნმა ა. ჯ—ძემ კითხვა არ იცისო?! რა მოგახსენოთ, და სწორედ ასე-კი გახლავთ ბ-ნ ა. ჯ—ძის მიერ დასახელებულ წიგნში, როგორც მე მოვიყვანე.

8 მ. 50 კ. სულ სხვა მნიშვნელობის ციფირი გახლავთ, იმას გვერდით კიდევ ამისთანა მნიშვნელობის ციფირი 50 კ. უზის. აი ცხრილი, რომელშიაც ორივე რიცხვი მოყვანილია (იხ. сводъ матеріаловъ стр. 139.)

| Число окладовъ | | Величина окладовъ съ дыма | |
| --- | --- | --- | --- |
| Въ Тифлисской губ. | 15 | отъ 50 коп. | до 8 р. 50 к. |

По уѣздамъ число окладовъ и величина ихъ распредѣляются слѣдующимъ образомъ:

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| Въ Тифлисскомъ уѣздѣ | 8 | отъ 1 р „ к. | до 8 р „ к.. |
| „ Горійскомъ . . . . | 6 | „ 2—„— | „ 7—„ |
| „ Телавскомъ . . . , | 6 | „ 1—„— | „ 5—„ |
| „ Сигнахскомъ . . . | 4 | „ 3—„— | „ 6—„ |
| „ Ахалкалакскомъ . | 3 | „ 3—„— | „ 6—„ |
| „ Тіонетскомъ . . . | 8 | „ „—50 к. | 5—20 |
| „ Ахалцихскомъ . . | 3 | „ 3—„— | „ 6—„ |
| „ Душетскомъ . . . | 7 | „ 1—50 к. | 6—„ |
| „ Борчалинскомъ. . | 6 | „ 3—„— | „ 8—50 |

Сводъ матеріаловъ, стр. 139.

ნუ-თუ ყველასათვის, გარდა ბ. ა. ჯ-ძისა, ცხადი არ არის, რომ 8 მ. 50 კ. იყო საკომლო გადასახადი მთელ გუბერნიაში-კი არა, არამედ მხოლოდ ბორჩალოს მაზრის რამდენსამე სოფელში და სხვა არსად. რო ეს გადასახადი თვით ბორჩალოს მაზრაშიაც ბევრ სოფელში არ არსებობდა, იქიდანა სჩანს, რომ საშუალო საკომლო გადასახადი მთელ მაზრაში იყო მხოლოდ 3 მ. 58 კ. (ibid. გვ. 145). ეს ხომ უტყუარი მაჩვენებელია იმისი, რომ მაზრაში დიდი უმრავლესობა მეკომურთა საკომლო გადასახადს იძლეოდა მხოლოდ 3 მ. და ძალიან მცირე რიცხვი იხდიდა 8 მ. 50 კ. ერთი ვიკითხოთ, რა-კი გუბერნიის რამდენსამე სოფელში 8 მ. 50 კ. არის საკომლო გადასახადი, ამიტომ ნება აქვს ბ. ა. ჯ—ძეს ბრძანოს, რომ მთელ გუბერნიაში საკომლო გადასახადი 8 მ. 50 კ. არის?! ამისთანა მოსაზრებით ხომ სრული ნება ჰქონდა მეორე მიმართულების აზრიც გამოეთქვა და აღიარებინა, რომ ტფილისის გუბერნიაში საკომლო გადასახადი 50 კ. არის და არა 3 მ. 80 კ., როგორც ნამდვილად ერთმევოდა საშუალო რიცხვით მეკომურთ.

ბ-ნი ა. ჯ.—ძე განაგრძობს:

„საერო გადასახადი (земскій сборъ) თითო კომლზე ტფილისის გუბ.—7 მან. 98 კ. იყო, ქუთ. გუბ. 4 მ. 80 კ.“

და, რა გაეწყობა, ესეც შეცდომაა, უნდა შევუსწოროთ კიდევ. ნამდვილად-კი საერო გადასახადია:

| | თითო კომლზედ | 1 დეს. კულტ. მიწაზე | 1 დეს. ყოველ გვარ. მიწ. |
| --- | --- | --- | --- |
| ტფ. გუბ. | 4—81 კ. | — 82 კ. | — 27 კ. |
| ქუთაის. | 3—58 კ. | 1 მ. 29 კ. | — 82 კ.[6]) |

ვგონებ 7 მან. 98 კაპ. და 4 მან. 81 კაპ. შორი-შორს არის ერთმანეთზედ; აგრეთვე 3 მ. 48 კაპეიკიც 4 მ. 80 კაპეიკს კარგა მანძილზე გაჰშორებია. აბა, ბატონო, „ჩოთქში ჩაავდეთ‘‘, რა ,,სუმას‘‘ დაიჭერს, რომ მთელის გუბერნიის მხოლოდ სახაზინო გლეხკაცობა თქვენებურს გადასახადს იხდიდეს? ნეტა, რა დავიშავეთ ამ საცოდავმა გლეხ-კაცობამ, რომ ჯერ მიწები წაართვით და ახლა კიდევ გადასახადი ერთი-ორად მეტი აჰკიდეთ ზურგზედა? ვაშა, ვაშა, თქვენს გამბედაობას!!

მ. ტფილისელი.

(დასასრული ხვალ)

[1]) გაგონილა ესეთი დაყენება და ჩაციება?

[2]) მადლობა ღმერთს, ძლივს მართალი არ ვათქმევინეთ ბ-ნ ა. ჯ-ს. სწორედ ამ 309,086 გლეხ-კაცობის მდგომარეობა წინად მიმალა და მიაფუჩეჩა.

[3]) Сводъ матеріаловъ по изуч. быта госуд. кр—нъ Зак. Края. т. I, ч. 3, стр. 146.

[4]) ibid, стр 145.

[5]) ibid, стр. 151.

[6]) ibid, стр. 179.

კაიას ნება დართეს მოსკოვის უნივერსიტეტში ეგზამენი დაიჭიროს წმინდა მათემატიკის მაგისტრობაზე.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდგან, რომ უკანასკნელ კვირის განმავლობაში მოკლულ იქმნა ხუთი ბური, ტყვედ წაიყვანეს 95 და თვით დანებდნენ ინგლისელებს 63, ნახეს სამი ზარბაზანი. ლიგბენბერგის ვაკეში, კაპის შუაგულს ახალშენში არის მტრის გუნდი, სულ 200 კაცი, მალონსის წინამძღოლობით. დასავლეთით მყოფი წვრილ-წვრილი გუნდები, რომელთაც ვაწვებით ჩრდილოეთით და ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კიდევ გვაწუხებენ. გუნდები დაყოფილია წვრილ-წვრილ დასტებად. „დეილი ხრონიკლს“ ატყობინებენ, რომ მოლაპარაკების დროს ინგლისელი გუნდები შეაჩერებენ ომიანობას და არ იბრძოლებენ დევეტის, დელარეისა და ბოტას წინააღმდეგ, ვიდრე ისინი თვითონაც დაიცვენ დროებით მორიგების წესსა. „დეილი მაილს“ გაუგია, რომ დროებით მორიგების შესახებ სიტყვაც არავის დაუძრავს და დელარეის წინააღმდეგ ომს განაგრძობენო.

**სოფია.** მინისტრ-პრეზიდენტი დანევი წავიდა პეტერბურგში.

**პარიჟი.** ლუბეს პეტერბურგში წასასვლელად საგანგებო კრედიტის შესახებ მოხსენებაში მოყვანილია იმ წერილის შინაარსი, რომლითაც იმპერატორი ნიკოლოზ II ჰპატიჟობს პრეზიდენტს ლუბეს.

პალატა. დელკასეს შეაქვს წინადადება, რომ ნახევარი მილიონი ფრანკი გადასდონ პრეზიდენტის რუსეთში წასასვლელად და ახსენებს დეპუტატებს რუსეთის იმპერატორის წერილს, რომლითაც ხელმწიფე იწვევს ლუბეს რუსეთში, რომ თვით დარწმუნდეს თუ, რა ერთის სულითა და ერთის გულით არის განწყობილი რუსეთის ხალხი საფრანგეთისა და აგრეთვე საფრანგეთ-რუსეთის ერთობისადმი, რასაც თან-და-თან ემატება ძალა და მნიშვნელობა. კრედიტი უბაასოდ გადასწყვიტეს.

**პარიჟი.** ფირმენ ფორს შეაქვს წინადადება, რომ ბაღდადის რკინის გზის საზოგადოებას აუკრძალონ საფრანგეთში აქციებისა და ობლიგაციების გამოცემა, გარდა იმ შეთხვევებისა, როცა ამის ნებართვას მისცემს პარლამენტი. დელკასე პასუხად ეუბნება, რომ დიპლომატია არასოდეს არ გარეულა ბაღდადის რკინის გზის საქმეშიო.

**პეტერბურგი.** სასოფლო მეურნეობის საბჭოს სესია მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დაიწყება მარტის 28-ს. დღეს დაიწყო კრება შინა-მრეწველობის მოღვაწეთა. ბრწყინვალე სიტყვაში მიწათ-მოქმედების მინისტრმა უარ-ჰყო ის აზრი, ვითომც წვრილი შინა-მრეწველობა უნდა დაიღუპოს საფაბრიკო მსხვილ წარმოებასთან ბრძოლაშიო. 300 მეტი წევრია მოსული. სრულიად რუსეთის ცეცხლის ჩამქრობთა კრება გადაიდო მარტის 31-სათვის.

13 მარტი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ოკის ნაპირი 50 საჟენის სიგრძეზე და 20 საჟენის სიმაღლეზე მოსკდა და დაეცა რომოდანის რკინის გზის ლიანდაგს. საქონლის გადაზიდვა ნიჟნიდგან მოისპო.

**კონსტანტინოპოლი.** ავსტრი-ვენგრიისა და რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებმა სოფიაში სერიოზულად დაეკითხნენ ბოლგარიის მმართებლობას მაკედონიის კომიტეტის შესახებ. ბოლგარიის მმართებლობამ უპასუხა მათ, რომ არასოდეს მას ხელი არ გაუწყვია კომიტეტებისათვის, რადგანაც მათ შეუძლიათ მაკედონიაში უწესოება გამოიწვიონ. ბოლგარიამ აღსთქვა აგრეთვე რომ მიიღებს მკაცრს ღონისძიებას, რათა დააბრკოლოს ბოლგარიაში ბრბოთა შედგენის საქმე და წესიერების მოწინააღმდეგეთა ელემენტების მაკედონიაში ბოლგარიიდგან გადასვლა.

**ბერლინი.** რუსეთის ახალი სესხის აქ განაღდების ამბავს აქაური ჟურნალ-გაზეთები დიდი თანაგრძნობით მიეგებნენ. ბერლინის გაზეთები ძალიან კმაყოფილნი არიან რომ ნემცების თავისუფალი კაპიტალები ხანგრძლივ დროს განმავლობის შემდეგ ისევ გაანაღდებენ რუსეთის სახელმწიფო ქაღალდებს; ვიტტეს თანხმობა, რომ ისარგებლოს გერმანიის ფულის ბირჟის წინადადებით, იმის ნიშნებად მიაჩნიათ, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის კარგი მეზობლური განწყობილება მყარდება.

**პარიჟი.** რუსეთის ახალი სესხის განაღდებას გერმანიაში და ჰოლანდიაში აქ აუღელვებლად მიეგებნენ ფრანგული ჟურნალ-გაზეთები. ისინი ამ ღონისძიებას უეჭველად სამართლიან ღონისძიებად სთვლიან, ისე როგორც საფრანგეთის სესხის განაღდებას 1901 წლის დეკემბერში მომხდარს. ზოგიერთი საფინანსო წრეები უფრო კმაყოფილნი კი იქნებოდნენ, რომ ეს დიდი სესხი ხელიდგან არ წასულიყო საფრანგეთის ბირჟას; მეორე მხრით არიან ისეთნი ფინანსისტებიც, რომელნიც ბელგიისა და საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთების გულღრძო კრიტიკის გამო სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ რუსეთს საკრედიტო აპერაციებისათვის მოეპოვება რამდენიმე ბირჟა, სადაც მისი ფინანსების კარგი მდგომარეობა დაფასებულია ღირსებისამებრ.

**ვოლზებეკ.** ხმა ისმის, რომ ტრანსვაალის მმართებლობის წევრნი, რომელნიც კრონშტადტში მიდიან, იმ აზრისანი არიან, რომ ყველანი ერთიანად დანებდნენ ინგლისელებს, რათა ბოლო მოუღონ ომიანობას.

**პეტერბურგი.** კიევში აპრილის 25-დგან დაიწყება კრება რუსეთის რკინის გზებზე მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელთა.— საპატიმროთა შესახებ მოღვაწეთა კრებამ შემდეგი განაჩენი დაადგინა; არ არის სასურველი, რომ პატიმართა მუშები შეეცილოს თავისუფალ მუშების შრომას, ხოლო საპატიმროების მთავრობანი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ, რომ პატიმარნი არ დარჩნენ მუშაობას მოკლებულნი.

**პეტერბურგის ბირჟა** 8 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94, |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅝ გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 93¾ წვრ. გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 470½ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 369½ გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 307 გაყიდ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 94⅞ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 83¼ გაყიდ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,671 წვ. გაყ. |
| აქციები ,, | 531 გაყიდ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4,750 გაყიდ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 435 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | — |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 226 წვ. გაყ. |

**ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:**

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ზ. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

**ქუთაისიდგან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდგან** შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

**ქუთაისიდგან ბათუმში:**

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).


# განცხადება

**ზნე-ხასიათის გამასწორებელ** სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო ახალშენებისა და თავ-შესაფართა კავკასიის საზოგადოების გამგეობა, საზოგადოების წესდების მე-16 §-ის თანახმად, უმორჩილესად სთხოვს ბ-ნნთ წევრთ საზოგადოებისათ მობრძანდნენ ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქმნება ტფილისის სამოსამართლო პალატის დარბაზში კვირას, 25 ამა მარტისას, 1902 წ. დილის 12 საათზედ.

**საგანნი განხილვისა:**

1. ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1901 წლისა.
2. ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1901 წლ.
3. ანგარიში ზნე-ხასიათის გამასწორებელ ახალშენთა 1901 წ.
4. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1902 წ.
5. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1901 წლის ანგარიშისა და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა 1902 წლის თაობაზედ.
6. არჩევანი გამგეობის ახალ წევრთა იმათ მაგიერ, რომელნიც ანებებენ თავს თავისს თანამდებობას საზოგადოების წესდების 22 §-ის თანახმად.
7. ფ. ა. ბიკოვის მიღების საქმე საზოგადოების საპატიო წევრად.
8. წესდების მე-2 §-ის გამოცვლის შესახებ.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება, თუ კრებას დაესწრება 20 წევრზედ არა ნაკლები (17 § საზოგადოების წესდებისა).

(3—1)

GRAND PRIX PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К-о**

Одеколонъ ОЗОНЪ для дезодораціи воздуха въ комнатахъ и общаго туалета.

**ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს თავისს წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირის, ამა წლის 24 მარტისათვის, დანიშნულია წევრთა **წლიური საზოგადო კრება.** კრება მოხდება დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
3. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
4. არჩევანები საბჭოს ხუთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით რწმუნებანი საზოგადო კრებაში მონაწილეობისათვის უნდა წარედგინოს გამგეობას სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 20 მარტისა.

(3—6.—3)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 ,, |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | 5 ,, |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 ,,, |
| აბო ტფილელი, ქ. ა. | 30 ,, |
| Або Тифлисскій, Е. К. | 5 ,, |
| ამბავი მადლის ქვისა | 5 ,, |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 ,, |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. 50 ,, |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | 40 ,, |
| ბებია. | 10 ,, |
| ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | 15 , |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | 30 ,, |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | 30 ,, |
| გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | 20 ,, |
| გამზრდელი, აკაკისა | 5 ,, |
| გასართობი | 10 ,, |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | 15 ,, |
| გუსტავ ვაზა | 5 ,, |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | 60 ,, |
| გიორგი და მიხეილი | 10 ,, |
| Древный Анчисхатскій соборъ. | |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 “ |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| Карбеловъ | ,, 20 |
| დედა, ანდერსენისა | 8 ,, |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | 20 ,, |
| Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. | 10 ,, |
| Давидъ Гареджели, Е. К. | 15 ,, |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | 15 ,, |
| ელენე, მოთხრობა | 5 ,, |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | 40 ,, |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. | 20 ,, |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | 5 ,, |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ. | 3 ,, |
| ზატარა ლორდის თავგადასავალი | 30 ,, |
| ზატრა ვეფხვის ტყაოსანი. | 25 ,, |
| რამს გაზდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | 40 ,, |
| სიტყვიერების თეორია, ეზ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | 60 ,, |
| საერო დღესასწაული | 25 ,, |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | 30 ,, |
| თსზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | 40 ,, |
| თამარ-დედოფლის საშკალი | 10 ,, |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | 50 ,, |
| ისტორია ქართულ სტამბებისა. | 15 ,, |
| იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა. | 40 ,, |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნრ. ქუთათელაძისა | 60 ,, |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | 10 ,, |
| კანდელი, მ. ღელაშვილისა | 15 ,, |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 ,, |
| კუპიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| მვდოშვილისა | ,, 50 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | ,, 15 |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონჩოშვილისა | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | ,, 40 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 50 |
| ნელო და ზატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | ,, 10 |
| ნათელა, აკაკისა | ,, 20 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა | ,, 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი | ,, 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла. | ,, 20 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა. | ,, 50 |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. | ,, 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა | ,, 10 |
| სახუმარო გასართობი | ,, 10 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, 30 |
| საყმაწვილო ამბები, ეგ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბარიანისა | ,, 50 |
| უვლავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | ,, 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა | ,, 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, 40 |
| ქეთო და კოტე, საყმაწვილო მოთხრობა | ,, 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, 25 |

ფაბრიკის ნიშანი



Заявлен отдѣлу промышленности.

ფაბრიკის ნიშანი

# გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცი-სა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

# პაპიროსები,

რომლებიც გარეგან შეხედულობით ძლიერ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

## ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლესის მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ-წარწერას

**Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.**

(10—282—9)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

# სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია.** ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ № 20

(10—301—5.)


Дозволено цензурою. Тифлисъ 13 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.